პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
კვირა
16 სექტემბერი
№ 214 (17559)
ფასი 2 კაპ.

თბილისის მეტრო-პოლიტენი: მეგობრობის მშენებლობა

თავდადებული, გმირული შრომით!

მეტრომშენებელთა გამარჯვება

ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს, თბილისის დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის კოლექტივებს, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობის წარმატებით დამთავრებას „ვაგზლის მოედან“-„დელისის“ უბანზე.

რთულ ჰიდროგეოლოგიურ პირობებში მშენებლებმა მართლაც რომ უდიდესი სამუშაო შეასრულეს. თბილისის მეტრომშენებლობის პრაქტიკაში გვირაბგაყვანის სამუშაოთა წარმოებისას მათ პირველად გამოიყენეს მთელი რიგი ახალი საინჟინრო გადაწყვეტები. უნიკალურია ტექნიკური შესრულების მხრივ სამი სადგური — „დელისის“, „პოლიტექნიკური“ და „ვაგზლის-2“.

თბილისის მეტროპოლიტენს სამართლიანად უწოდებენ მეგობრობის მშენებლობას. მშენებლებს, მემონტაჟეებს, ექსპლოატაციის მუშაკებს შორის ჩვენი ქვეყნის 28-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები არიან. მეტროს მეორე რიგის მშენებლობაზე „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივის წევრთა მხარდამხარ შრომობდნენ მოსკოველი, ბაქოელი და ტაშკენტელი სპეციალისტები. მათ ქმედითი დახმარება გაუწიეს ქართველ მეტრომშენებლებს ყველაზე პასუხსაგებ სამუშაო უბნებზე.

წარმატება მიღწეულია შემკვეთისა და მოიჯარის შეთანხმებული მოქმედების, მშენებლთა და მემონტაჟეთა თავდადებული, გმირული ჯარჯის შედეგად, აგრეთვე იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით, რომელსაც ეწეოდნენ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული კომკავშირული ორგანიზაციები, დ. უწინარეს ყოვლისა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

ახალი ექვსკილომეტრიანი ტრასისა და ხუთი მიწისქვეშა სადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემა დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ძველთა ძველი, მაგრამ მარად ჭაბუკი დედაქალაქის სატრანსპორტო მოძრაობურების პრობლემის გადაჭრაში.

ახლა თანდათან ძლიერდება გლდანისა და ვარკეთილის მიმართულებით მიწისქვეშა სატრანსპორტო მაგისტრალების გაყვანის სამუშაოები. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სამუშაოები მაღალ დონეზე შესრულდება და დროულად დამთავრდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლებს, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილეს, მეტროპოლიტენის ექსპლოატაციის მუშაკებს უსურვებენ ახალი შრომითი მიღწევები და გამარჯვებანი მოკავშირეთა გეგმისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი	

მეტროპოლიტენის მეორე რიგი მწყობრშია!

თბილისი მეტროპოლიტენის მეორე რიგი მწყობრშია. 15 სექტემბერს საბურთალოში „დელისის“ ახალ სადგურში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც ამ მოვლენას მიეძღვნა.

...„ცისფერი ექსპრესი“ მდორედ დაიძრა ადგილიდან, შემდეგ გაჭანდა და გვირაბის შავ ხახაში გაუჩინარდა.

— უკვე მერამდენე წელია მატარებელი დამყავს, და ყოველი ახალი ხაზის გახსნის წინ ახალბედასავით ვღელავ, — გამოგვიტყდა მემანქანე ნოე ლაცაბიძე. სწორედ მან წაიყვანა ცამეტი წლის წინ თბილისის მეტროს პირველი „ექსპრესი“.

არ ვიცით, მიუქცევიათ თუ არა ყურადღება ასეთი დეტალისათვის: მიწისქვეშა „ექსპრესს“ მართავს ერთი, და არა ორი მემანქანე, როგორც ქვეყნის სხვა მეტროპოლიტენებში. თან, გვირაბებში არ არის განათება. თბილისელ სპეციალისტთა მიერ შექმნილი სამარჯვი, რომელსაც ოოლად აუდის ერთი მემანქანე, უზრუნველყოფს მოძრაობის სრულ უსაფრთხოებას. ახლა ადარ არის საჭირო „მიწისქვეშა მაგისტრალების“ განათება, საკმარისია წამყვან ვაგონზე დაყენებული ერთადერთი პროექტორი. ეს დიდძალ ელექტროენერგიას ზოგავს.

ტრადიციისამებრ, პირველი მატარებლის მგზავრებს შორის ბევრნი არიან მშენებლები. ბლოკნოტში ვპოულობთ ციფრებს, რომლებიც ნათლად ასახავენ მათ უდიდეს შრომას: მიწისქვეშეთიდან ამოღებულია დაახლოებით მილიონი კუბური მეტრი გრუნტი, ჩაწყობილია ასიათასობით კუბური მეტრი ბეტონი და რკინა-ბეტონი, ითასობით მეტრი სალანდაგო და საკონტაქტო რელსია გაყვანილი ორ გვირაბში.

ამ გიგანტურ მუშაობაში მონაწილეობდა ქვეყნის ათობით ორგანიზაცია, რომლებიც თბილისს უგზავნიდნენ საშენ მასალას, ტექნიკას, მოძრავ შემადგენლობას. მათი გეოგრაფია ვრცელია— მოსკოვიდან და ლენინგრადიდან ტაშკენტამდე და ერევნამდე.

„მთავარგვირაბმეტრომშენის“ № 901 სპეციალური მატარებლის მომპრაკეთებელთა ბრიგადირმა ლევ მაზურიკმა ჩამოგვითვალა ქალაქები, სადაც მას უმუშავია: მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, ტაშკენტი, კიევი, ბაქო, თბილისი. იგი ხაინ-ნაირ „ტანსაცმელს“ აცმევს მეტროს სადგურებს, შემდეგ კი ამ სამოსს აკოხტავებს მისი მეუღლე — ერთგული თანამგზავრი ცხოვრებაში და თანაშემწე მუშაობაში თამარ ვედეკინა. თამარი და მისი მეგობრები სარკესავით აპრიალებენ მარმარილოს, რომელიც ახლა ცისარტყელას ფერებით ელვარებს. სამუშაოთა ფრონტი მათ დიდი აქვთ — მეტროს მეორე რიგის ხუთი ახალი სადგურისა და რვა ვესტიბიულის „დამშვენებას“ ოცი ათასი კვადრატული მეტრი მარმარილო, გრანიტი, პლასტმასის ნაწარმი, მინა, ალუმინი მოხმარდა. ყველა სადგური კოხტა და ლაზათიანია, არავითარი ზედმეტობა არა აქვს.

ვაგონში ვნახეთ ჩვენი ძველი ნაცნობი — „თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა ბრიგადირი ამირან ზარქუა. „სპეტაკი ნიშნისა“ და ოქტომბრის რევოლუციის ორდენები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიო სიგელი — ასე აღინიშნა რესპუბლიკის დამსახურებული მშენებლის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გარჯა. გვირაბგამყვანნი ყოველთვის პირველნი მიდიან. მათ წილად მოდის სამუშაოს ყველაზე ძნელი, ყველაზე რთული ნაწილი. იცი წელია მიწის ქვეშ შრომობს ა. ზარქუა. იგი ხუმრობს, მიწისქვეშ გაცილებით უფრო უკეთ ვიგრძნობ გზას, ვიდრე ზედაპირზეო.

საბურთალოს ხაზის თოთხმეტი ესკალატორი ერთ რიგად რომ გავამწკრივოთ, ასეთი კიბით თითქმის კილომეტრიან მთაზე ავალთ. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუვლია ეს გზა სამონტაჟო უბნის უფროსს აკაკი ჭანკურიძეს. შეიძლება ითქვას, რომ მას ბედმა გაუღიმა. თბილისის მეტროში პირველად დაამონტაჟეს ახალი კონსტრუქციის ესკალატორები. გამოცდილმა სპეციალისტმა მყისვე შეაფასა მათი უპირატესობა. ლენინგრადის კოტლიაკოვის საჭელობის ქარხნის მიერ დამზადებული მოძრავი კიბე წინანდელ ნამუშევზე ორჯერ უფრო მსუბუქია, მისი საფეხურები დაფარულია დურალუმინით, შეცვლილია მოპირკეთებაც. ესკალატორები საიმედო და ეკონომიურია. ორი ასეთი ესკალატორი დადგა სადგურებში — „პოლიტექნიკურსა“ და „ვაგზლის-2“-ში — თბილისის მეტროს ყველა მომავალი სადგური (მეტრო კი ამ დღეებში გლდანისა და ვარკეთილის მიმართულებით გაჰყავთ) უახლესი კონსტრუქციის ესკალატორებით აღიჭურვება.

უკან დაგვრჩა „კომკავშირული“, „პოლიტექნიკური“, „წერეთლის პროსპექტის“ სადგურები. საგულისხმოა, რომ ტრასა „კომკავშირულიდან“ — „დელისამდე“ ღია წესით შენდებოდა. მთლიანსექციონირ კონსტრუქციები ღრმა ტრანშეებში ჩაიწყვეს და მათ ბუნებრივი გვირაბები შეეკვალეს. მშენებლობის ასეთი ხერხი გაცილებით იაფი ჯდება.

მატარებელი „ვაგზლის-2“ სადგურს უახლოვდება. მას თავისი ისტორია აქვს. ეს სადგური აშენდა რეკორდულად მოკლე ვადაში — ორ წელიწად-ნახევარში ოთხი წლის ნაცვლად. მშენებლებმა, რომლებიც ჩქარობდნენ თბილისელთა გახარებას, დროს გაუსწრეს...

... „დელისის“ სადგური. პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გელაშვილი, გ. ენუქიძე, ა. ინაური, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, თბილისის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ქალაქის და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოსკოველი, ლენინგრადელი, კიეველი, ტაშკენტელი, ბაქოელი და ერევნელი სტუმრები. ყველას საზეიმო განწყობიდან ეტყობა აქვს, ირგვლივ ყვავილების ზღვაა.

დღის ორი საათია. თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის ექსპლოატაციის დაწყებისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა, მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება ლენინის ორდენოსანი „თბილისგვირაბმშენის“ სამმართველოს, თბილისის დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის კოლექტივებისადმი, მეტროს მეორე რიგის მშენებლების, მემონტაჟეებს, დამპროექტებლებს, მშენებლობის ყველა მონაწილისადმი.

სიტყვა ეძლევა „თბილისგვირაბმშენის“ უფროსს ვ. გოცირიძეს. მან თქვა, რომ თბილისის მეტროს მეორე რიგის მშენებლობა ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინებაა, ილაპარაკა საქართველოს დედაქალაქის „მიწისქვეშა არტერიის“ განვითარების შემდგომ პერსპექტივებზე.

მშენებლებს ჩინებული საჩუქრისათვის მხურვალე მადლობა უძღვნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. მიქელაშვილმა, საქართველოს მეგრელთა კავშირის გამგეობის მდივანმა, პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა. მიტინგზე გამოსულმა გვირაბგამყვანთა ბრიგადირმა ა. ზარქუამ ილაპარაკა მეტრომშენებელთა მიერ განვლილ დიდ გზაზე, პირობა დადო, რომ არ შეანელებს მუშაობის ტემპს.

ვ. გოცირიძემ სიმბოლური გასაღები გადასცა თბილისის მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსს ი. მელქაძეს.

დგება საზეიმო წუთი. ა. ზარქუა ლენტს ჭრის...

თბილისის მეტროს მეორე რიგი გაიხსნა!

მშენებლები და სტუმრები ვაგონებში სხდებიან, მატარებელი თავის პირველ რეისში მიეშარეთება...

□

ამავე დღეს მეტროს მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემისადმი მიძღვნილ მიტინგზე „მთავარგვირაბმეტრომშენის“ უფროსის მოადგილემ გ. იანჩევსკიმ საზეიმო ვითარებაში გადასცა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივის წარმომადგენლებს მიმდინარე წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

ლ. თუმანიშვილი,
რ. დავიდოვი,
(საქინფორმის კორ.).

სურათებზე: საზეიმო მიტინგი სადგურ „დელისში“; „თბილისგვირაბმშენის“ უფროსი ვ. გოცირიძე მეტროს მეორე რიგის სიმბოლურ გასაღებს გადასცემს „თბილისმეტროპოლიტენის“ უფროსს ი. მელქაძეს; მემანქანე ნ. ლაცაბიძე, რომელმაც თბილისს მეტროს პირველი მატარებელი წაიყვანა. ახლაც მას ერგო ეს პატივი.

ბ. კიკვაძისა და ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დედაქალაქელთა მადლობის სიტყვა

დიდად მახარებს

თბილისელებს დღეიდან საშუალება გვეძლევა უკეთ ვიმგზავროთ, დროზე მივიდეთ სამსახურში თუ პირად საქმეზე.

მე, როგორც მეცნიერების უხუცეს წარმომადგენელს, დიდად მახარებს თბილისელ მეტრომშენებელთა ეს გმირული შემართება და გულწრფელად, მხურვალედ მივესალმები მიწისქვეშა ტრასის მშრომელებს, რომელთაც შეასრულეს ეს საშვილიშვილო საქმე.

დავ. იხაროს! და იდღეგრძელოს მარად ჩვენმა საათაყვანებელმა დედაქალაქმა თბილისმა, დიდება და გამარჯვება თბილისელებს, ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს!

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი.

მარჯვენა დაგელოცოთ!

ჩვენი მეტროპოლიტენის მეორე რიგის მწყობრში ჩადგომამ როგორც ყველა თბილისელი, ისე მეც დიდად გამახარა.

მშენებელთა მრავალწლიანი გარჯის შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა დღეს საბურთალოს მიმართულებით მგზავრობა. თუ წინათ სამსახურში მისვლას ერთ საათზე მეტს ვუნდებოდი, ახლა ეს დრო საგრძნობლად — 30-35 წუთით მაინც შემცირდა.

ეს ერთი და სხვა მრავალი!

გ. მაზმიშვილი,
გაერთიანება „ელვას“ მმართველ-გამომთვლელ მანქანათა ქარხნის გამმართველი ზეინკალი.

მესაზღვრე კომისართა პატივსაცემად

პარტიის მებრძოლ ორგანოს წარმოადგენენ სასაზღვრო ჯარებში პოლიტორგანოები. მწვანექუდიანი კომისრები რაზმავენ საბჭოთა საზღვრების გუშაგებს ლენინური პარტიის გარშემო, უნერგავენ მათ სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულს, მაღალ პოლიტიკურ სიფხიზლეს.

სასაზღვრო ჯარების პოლიტსამმართველო 40 წლისაა. ამ მოვლენას მიეძღვნა მესაზღვრე მეომართა და დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც 14 სექტემბერს გაიმართა მოსკოვში.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ა. მ. ლატიშევი.

კრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე არმიის გენერალი ს. კ. ცინევი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე არმიის გენერალი გ. კ. ციცევი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების უფროსი არმიის გენერალი ვ. ა. მატროსოვი. (საქ-დესი).

მეტროპოლიტენის მეორე რიგი მწყობრშია!

ეს ღონისძიებანი ... ბრიგადირ ... ...

მწვანე საუნჯე

წელს და შარშან ტყის მუშაკის დღეს თავისებურ ვითარებაში ვზეიმობთ. უკვე მეორედ ამ დღესასწაულის წინა თვეებში ვიწყობთ ხოლმე ტყეების დათვალიერებას. ამ დათვალიერება-შემოწმებამ ისეთი კარგი შედეგები მოგვცა, ისეთი სურათი დაგვანახვა, რომ გადაწყვიტეთ ამ დღესასწაულის დღეს მის შედეგებსა და ახალ ამოცანებზე ვისაუბროთ.

ერთი სიტყვით, დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ინიციატივით წამოწყებული ეს ღონისძიება სერიოზული შედეგების, წარმატებების დანახვისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებაა.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი: შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტყის უკანონო ჭრა შემცირდა 3 პროცენტით, გაუმჯობესდა მოვლითი და სანიტარიული ჭრის ხარისხი, არ ყოფილა ტყის კულტურებისა და სოლა-პლანტაციების დაღუპვის არც ერთი შემთხვევა, შემცირდა მავნებელ-დაავადებათა კერები. და საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თვალნათლივ შეიმჩნევა მეტყეველთა კოლქმეურეობის მეტი მზრუნველობა ტყეების აღდგენის, დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

ჩვენი პროფესიული დღესასწაულის დღეს შეგვიძლია დავასახელოთ მოწინავე მეურნეობები. ტყეების დათვალიერებაში მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს და ფულადი პრემიებით დაჯილდოდნენ თბილისის, ბოლნისის, ქუთაისის,- მახარაძის, თეთრი წყაროს, კასპისა და ადიგენის სატყეო მეურნეობები. აღინიშნა აჭარის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, კოლხიდის, დუშეთის, ახალციხის, ასპინძის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ხაშურის, ონის, ამბროლაურის, წალენჯიხის, ცხინვალის, წალკის სატყეო მეურნეობების, სართიჭალის სახელმწიფო სატყეო სანერგე მეურნეობის, კრწანისის ტყე-პარკის, თბილისის ეროვნული პარკის, ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის კარგი მუშაობა.

მაგალითად, ცხინვალის სატყეო მეურნეობის ყორნისის სატყეოში (უფროსი — ლ. სიქტურაშვილი) სანიმუშოდ მოაწყვეს მოვლითი ჭრა (გამოსშირვა), აქ კარგ მდგომარეობაშია სანერგეები და ტყის კულტურები. ამავე სატყეო მეურნეობის წნელისის სატყეოში (უფროსი—გ. თედეეკი) ჩინებულად გამოიყურება შავი ფიჭვის ტყის კულტურები და ფიჭვის სანერგე, სატყეოს უფროსის საკუთარი ინიციატივით გაშენდა 0,1 ჰექტარი ნაძვის სანერგე, რომელიც კარგად ხარობს და ვითარდება. ჩხოროწყუს სატყეო მეურნეობის მუხურის სატყეოში (უფროსი — შ. ქვარცხავა) სანიმუშოდ მოაწყვეს 28 ჰექტარზე გაშენებულ წაბლის კულტურაში მოვლითი ჭრა. ახალციხის სატყეო მეურნეობის ურავლის სატყეოში (უფროსი — ა. კაპანაძე) თვალს სიამოვნებს მოვლილი ფიჭვის კულტურები, კარგად იზრდება და ვითარდება ფიჭვისა და ნაძვის სანერგეები, მაღალ დონეზეა ჩატარებული მოვლითი ჭრა ფიჭვის კულტურებში. ჯავის სატყეო მეურნეობის ჯალაბეთის სატყეოში (უფროსი — მ. ღვალაძე) სწორად გამოუყვიათ მთავარი სარგებლობის ტყეკაფი, დაწესებულია სისტემატიური კონტროლი სწორი ჭრისა და ტყეკაფის გაწმენდისადმი, კარგია წაბლის სანერგე და გაშენებული ტყის კულტურები.

დათვალიერებისას წარმატებებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც გამოვლინდა. მაგალითად, ჯერ კიდევ არის ტყის უკანონო ჭრის ფაქტები. ასეთი დარღვევები შემჩნეულია სამხრეთ ოსეთის სატყეო-მეურნეობის სამმართველოში, თელავის, გეგეჭკორის, მესტიის, ქარელის, ბაკურიანის, თიანეთის, ზაიკალოსის, გორის, გულრიფშის, ბორჯომის და სხვა სატყეო მეურნეობებში. გზების მშენებლობაში ჩამორჩენენ ქარელის, ბაკურიანის, ბორჯომის, ლენტეხის სატყეო მეურნეობები. დაბალია შრომატევადი მექანიზაციის დონე გურჯაანის, ყვარლის, წყალტუბოს სატყეო მეურნეობებში, აფხაზეთის ასსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში.

არც სახელმწიფო ნაკრძალებს მოჰკლებია დამთვალიერებელთა ყურადღება, რის შემდეგაც ბევრი ნაკლი და ხარვეზი გამოვლენდა. მაგალითად, ბორჯომისა და ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალებში არის დიდძალი ზეხმელი, წაქცეული და ჩახერგული ხეები, რითაც შექმნილია ანტისანიტარიული და ხანძარსაშიში მდგომარეობა, მეორეული მავნებლის გაჩენის საშიშროება. ამასთან ერთად, ბორჯომის ნაკრძალში არ სრულდება სანიტარიული ჭრის გეგმა, ლიახვის ნაკრძალის მომიჯნავე ალპურ ზონაში ძოვს დიდძალი პირუტყვი, ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში ზღვისპირა ზოლი ძლიერ დანაგვიანებულია, აძოვებენ პირუტყვს, რიწის ნაკრძალში ხდება ხოლმე უკანონო ჭრა და ა. შ.

დამაკმაყოფილებელი არ არის მდგომარეობა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. გურჯაანის რაიონის საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეებში უკანონოდ მოჭრილია 499 კუბური მეტრი ხეტყე, ვანის რაიონის სოფელ კუშუბეურის შემოგარენში ერთ ჰექტარზე მთლიანად მოჭრილია მურყანის ხეები, თვით სოფელში კი მოჭრილია 50 ძირი მურყანის, მუხის, წაბლის და წიფლის ხეები. წალკის რაიონში 127 ჰექტარ ეროზირებულ ფართობზე გაშენებული ტყის კულტურა გადაძოვილია, ასევე ნადგურდება გზის პირზე გაშენებული ქარსაფარი ზოლები.

ტყეების დათვალიერების დროს შემოწმდა მერქნის რაციონალური გამოყენების მდგომარეობა და გამოვლინდა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ზოგჯერ ვხედებით ხეტყის დამზადებისა და გადამუშავების ნარჩენების არარაციონალური გამოყენებისა და უყაირათო ხარჯვის ფაქტებს.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მუშაკები მეათე და მომდევნო ხუთწლედში დიდი ამოცანების წინაშე დგანან, რომელთა წარმატებით გადაწყვეტას უთუოდ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება.

ბ. ბიბაური,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების კომისიის თავმჯდომარე.

ვ. ჩიხრაძე,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრის უფროსი, ეკონომიკის მეცნიერების კანდიდატი, კომისიის მდივანი.

დღესასწაულს მიეგებნენ

თბილისსა და რუსთავს შორის გაშენებული ტყე-პარკი, ბაგირამოს ეროვნული პარკი, ყვავილოვანი ქალაქის ბორის ძნელაძის „ახალგაზრდულის“ ტყე-პარკი, ... ტყის მუშაკთა [illegible] ... ოხებით რესპუბლიკის მწვანე სამდიდრე ყოველწლიურად მრავლდება. რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის საწარმოთა 100-ზე მეტი ნაწარმი ხარისხის ნიშნით გამოდის. მეტ წილ საწარმოებში დანერგილია ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

14 სექტემბერს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ მეტყეველთა და ხეტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დიდი არმიის საუკეთესო წარმომადგენლები. აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც ტყის მუშაკის დღეს მიეძღვნა.

შეკრებილებმა ტაშის გრიალით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სხდომა გახსნა ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა — [illegible] — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრმა თ. უჩანეიშვილმა.

სხდომაზე გამოვიდნენ რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გ. გიგაური, თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის დირექტორი ლ. ნამგალაძე, თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთადის“ მეავეჯე გ. ჭუმბურიძე, თბილისის სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის მედაზე ნ. შერბაკოვი, კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის ტყე-პარკის დირექტორი გ. გამცემლიძე.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაწყობილებათა გამგეები ო. ვარძელაშვილი და ვ. ქარუმიძე, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრი შ. ჭალაგანიძე. (საინფორმი).

აი, რას მეტყველებს დისციპლინის სტატისტიკა

1979 წლის პირველი ნახევრის მონაცემები

სამინისტროები, უწყებანი	მუშათა დენადობის პროცენტი	დროის დანაკარგები ყველა მიზეზით ერთ მუშაზე (კაცდღეები)	მათ შორის მიზეზებით: გაცდენები	მთელდღიანი და ცალსაათიანი მოცდენები	დაფიქსირებულია მუშაკი გამცდენებისა და დისციპლინის სხვა დარღვევებისათვის
საავტომობილო გზების სამინისტრო	10,0	0,07	0,02	0,01	3
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	8,0	1,13	0,08	0,84	446
წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტრო	32,5	0,07	0,02	—	17
დამზადების სამინისტრო	13,2	1,27	0,58	0,38	26
საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	24,2	0,38	0,18	0,01	157
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	9,7	2,59	0,76	1,07	1030
ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	8,1	0,89	0,21	0,26	88
სატყეო მეურნეობის სამინისტრო	19,1	0,62	0,10	0,41	7
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	14,1	1,45	0,23	0,72	119
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	19,8	0,79	0,26	0,32	299
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	16,2	3,79	1,61	0,99	163
კვების მრეწველობის სამინისტრო	18,0	1,25	0,27	0,43	686
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	15,4	2,82	0,27	1,61	39
საქმთავარმონტაჟსპეცშენი	16,5	0,86	0,69	0,01	56
გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	18,8	0,80	0,20	—	10
გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი	12,1	2,75	0,16	1,94	18
სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტი	21,0	1,44	0,28	0,68	89
ტრესტი „ინჟმშენი“	30,8	0,08	0,03	—	12
საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები (სულ)	11,5	1,01	0,31	0,18	1932

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ მუშათა დენადობის კოეფიციენტი კვლავაც საშუალოზე ბევრად მაღალია რესპუბლიკის წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის, სამინაკომუნალური მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, კვების მრეწველობის, სატყეო მეურნეობის, საშენ მასალათა მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროების სისტემებში, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტში, „საქმთავარმონტაჟსპეცშენში“ და ტრესტ „ინჟმშენში“. განვლილ 6 თვეში დენადობის კოეფიციენტი, მოლიანად, ძირითად დარგებში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 0,1 პუნქტით გაიზარდა. მათ შორის: მრეწველობაში — 0,8 პუნქტით, ავტოტრანსპორტში — 0,5 პუნქტით, სოფლის მეურნეობაში დარჩა გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეზე, ხოლო მშენებლობაში 1,3 პუნქტით შემცირდა. ცალკეულ სამინისტროებსა და საწარმოებში ეს მაჩვენებელი მეტად კონტრასტულია. მაგალითად, წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროში იგი გაიზარდა 10 პუნქტით, სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში — 5,4 პუნქტით, „საქმთავარმონტაჟსპეცშენში“ — 4,5 პუნქტით, კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 4 პუნქტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 3,7 პუნქტით და სხვა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მშენებლობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუშათა დენადობის კოეფიციენტი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემცირდა, მაგრამ ზოგიერთ საშენებლო სამმართველოში ეს მაჩვენებელი ძალადაკმაყოფილებელია. მაგალითად, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მე-11 ტრესტის № 42 მოძრავ მექანიზებულ კოლონაში დენადობის კოეფიციენტი იყო 118 პროცენტი, მე-9 ტრესტის № 1 სპეციალიზირებულ მოძრავ მექანიზირებულ კოლონაში — 113 პროცენტი და სხვ.

დენადობის კოეფიციენტი მაღალია რესპუბლიკის შემდეგ სამრეწველო საწარმოებში: სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ინერტული მასალების საკარიერო მეურნეობის გაერთიანებაში — 74 პროცენტი, სასოფლო მშენებლობის გურჯაანის № 4 ტრესტის დამხმარე სამრეწველო საწარმოში — 46 პროცენტი, საჩხერის მექანიკურ სატყეო მეურნეობაში — 67 პროცენტი, ქინძმარაულის საწარმოო გაერთიანებაში — 40 პროცენტი და სხვა.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუშათა დენადობის კოეფიციენტმა ავტოტრანსპორტში თუმცა 10,9 პროცენტი შეადგინა, მაგრამ ცალკეულ ავტოსატრანსპორტო საწარმოებში ეს მაჩვენებელი მაინც მაღალია.

სოფლის მეურნეობის დარგში მუშათა დენადობის კოეფიციენტი შედარებით მცირეა და წლის პირველ ნახევარში 3,4 პროცენტი შეადგინა, მაგრამ ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში ეს მაჩვენებელი მკვეთრად არის განსხვავებული.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნულ სამინისტროებში, უწყებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში კადრების შენარჩუნებასთან დაკავშირებული ღონისძიებები არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

სამუშაო დროის არასაპატიო მიზეზით გაცდენები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ზემოთ დასახელებულ დარგებში 1978 წლის პირველ ნახევართან შედარებით მიმდინარე წლის 6 თვეში 29,5 ათასი კაცდღით, ანუ 4 პროცენტით შემცირდა. აქედან მშენებლობაში — 40 პროცენტით, ავტოტრანსპორტზე — 46 პროცენტით, მრეწველობაში — 3 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 3-ჯერ გაიზარდა.

მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგები დიდია მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში და შეადგენს 162,3 ათას კაცდღეს, ანუ მთელი დანაკარგების 33,7 პროცენტს; კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში შესაბამისად — 52,4 ათას კაცდღეს და 10,9 პროცენტს, მშენებლობის სამინისტროს საწარმოებში—3,6 პროცენტს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 28,3 ათას კაცდღეს და 5,8 პროცენტს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში კი — 125,8 ათას კაცდღეს და 26,2 პროცენტს.

როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, სამუშაო დროის ზემოაღნიშნული დანაკარგები რომ არ ყოფილიყო, დამატებით იქნებოდა წარმოებული 53 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 2,5 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და შესრულებული 7,1 მილიონი ტონა კილომეტრი ტვირთბიდვა.

1979 წლის 6 თვის მონაცემებით, რესპუბლიკაში შრომის ნაყოფიერების გეგმა ვერ შეასრულა 126 სამრეწველო საწარმომ, გასული წლის ამავე პერიოდში კი 153 საწარმომ. ე. ი. ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი 27-ით შემცირდა.

1978 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წლეულს უმაღლესი ხარისხის ნიშნით გამოშვებული სამრეწველო ნაწარმის რაოდენობა 2-ჯერ, ხოლო მისი ხვედრითი წილი — 8,8 პუნქტით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია ისეთი საწარმოთა რიცხვი, რომლებიც უმაღლესი ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების გეგმას ვერ ასრულებენ. მაგალითად, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ ეს გეგმა მხოლოდ 84 პროცენტით შეასრულა. „საქმოლმერკონტეინერმა“ — 84,4 პროცენტით, ზესტაფონის ქარხანა „საქაბელმა“ — 76,4 პროცენტით, ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხანამ — 37,7 პროცენტით, ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ — 93,9 პროცენტით, თბილისის ქარხანა „ელექტროზოლიტმა“ — 84,4 პროცენტით და სხვ.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა საფინანსო დისციპლინის განმტკიცების საკითხს. მიმდინარე წლის 6 თვეში მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს დიდი რაოდენობით ჰქონდათ არამწარმოებლური დანახარჯები, რამაც შესაბამისად გაზარდა პროდუქციის თვითღირებულება: მრეწველობაში — 2418 ათასი მანეთით, მშენებლობაში — 858 ათასი მანეთით, სოფლის მეურნეობაში — 50 ათასი მანეთით, ანუ სულ 3326 ათასი მანეთით, თუმცა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 2-ჯერ მეტად შემცირდა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში არამწარმოებლურმა ხარჯებმა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 393 ათასი მანეთი შეადგინა, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 204 ათასი მანეთი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში —515 ათასი მანეთი, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში კი 998 ათასი მანეთი. ასევე დიდია ეს ხარჯები საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო ორგანიზაციებში და სხვ.

ვ. ნადარეიშვილი,
საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ფურცლებზე

მიტინგი ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე

ადის-აბება, 14 სექტემბერი. (საკუთარი სეკ. კორ). დღეს აქ გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ეთიოპიის დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური მოედნისათვის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭებას.

მიტინგის გახსნისას ადის-აბების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალაქის მერმა ალემუ აბებემ განაცხადა, რომ ეთიოპიის რევოლუცია თავის წინსვლაში თანამიმდევრულად ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, დიდი ლენინის იდეებით. ამიტომ, თქვა მან, ადის-აბების საქალაქო ხელისუფლებმა გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნებინათ ქალაქის ერთ-ერთი მოედნისათვის.

მიტინგზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, ყველა რეგიონში არის დიდძალი ზეხმელი, წაქცეული და ჩახერგული ხეები, რითაც შექმნილია ანტისანიტარიული და ხანძარსაშიში მდგომარეობა, მეორეული მავნებლის გაჩენის საშიშროება. ამასთან ერთად, ბორჯომის ნაკრძალში არ სრულდება სანიტარიული ჭრის გეგმა, ლიახვის ნაკრძალის მომიჯნავე ალპურ ზონაში ძოვს დიდძალი პირუტყვი, ბიჭვინთა-მიუსერის ნაკრძალში ზღვისპირა ზოლი ძლიერ დანაგვიანებულია, აძოვებენ პირუტყვს, რიწის ნაკრძალში ხდება ხოლმე უკანონო ჭრა და ა. შ.

დამაკმაყოფილებელი არ არის მდგომარეობა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების ტყეების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. გურჯაანის რაიონის საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეებში უკანონოდ მოჭრილია 499 კუბური მეტრი ხეტყე, ვანის რაიონის სოფელ კუშუბეურის შემოგარენში ერთ ჰექტარზე მთლიანად მოჭრილია მურყანის ხეები, თვით სოფელში კი მოჭრილია 50 ძირი მურყანის, მუხის, წაბლის და წიფლის ხეები. წალკის რაიონში 127 ჰექტარ ეროზირებულ ფართობზე გაშენებული ტყის კულტურა გადაძოვილია, ასევე ნადგურდება გზის პირზე გაშენებული ქარსაფარი ზოლები.

ტყეების დათვალიერების დროს შემოწმდა მერქნის რაციონალური გამოყენების მდგომარეობა და გამოვლინდა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ზოგჯერ ვხედებით ხეტყის დამზადებისა და გადამუშავების ნარჩენების არარაციონალური გამოყენებისა და უყაირათო ხარჯვის ფაქტებს.

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის მუშაკები მეათე და მომდევნო ხუთწლედში დიდი ამოცანების წინაშე დგანან, რომელთა წარმატებით გადაწყვეტას უთუოდ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგად გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება და მათი პრაქტიკული განხორციელება.

ბ. ბიბაური,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ტყეების რესპუბლიკური დათვალიერების კომისიის თავმჯდომარე.

ბეჭატყობინებენ საკავშირო და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ეროვნული ოლქების ინფორმაციულ სააგენტოებიდან — ტასსიდან, ნოვოსტიდან, სოფინფორმიდან, ინტერფაქსიდან, ადგილობრივ ინფორმაციულ ორგანოებიდან.

ბეჭატყობინებენ საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებიდან

ბსოფლიოს ლაბორატორიებში

გამოკვლევები, აღმოჩენები

ზღვის სასუქი

ბევრ ზღვისპირა ქვეყანაში წყალმცენარეებს ოდითგანვე სასუქად იყენებენ. წყალმცენარეები ხომ ზღვიდან ილებენ და თავიანთ ბიომასაში აგროვებენ მრავალ მიკროელემენტს, რომლებიც ხშირად აკლია ხმელეთის მცენარეებს. ნორვეგიის ზღვის წყალმცენარეების შემსწავლელმა ინსტიტუტმა აღმოაჩინა, [illegible] ჩრდილოეთისა და შორეულ აღმოსავლეთის ზღვების თავთხელ წყლებში გავრცელებული წყალმცენარის — ასკოფილუმის შემადგენლობაში შედის სულ ცოტა 55 ქიმიური ელემენტი. ასკოფილუმის ძლიერ განზავებული ექსტრაქტით ხენდროს მორწყვამ, მაგალითად, მისი მოსავალი 19 პროცენტით გაზარდა. ამკრად ტარდება ცდები სხვა კულტურებზეც.

რომელი ძროხა იწველის მეტს?

ხბორების გადარჩევის ცნობილ ხერხებს ომსკის ვეტერინარული ინსტიტუტის მეცნიერებმა კიდევ ერთი ფაქტორი მიუმატეს. მათ გამოარკვიეს რომ ძროხის წველადობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როდის დაიბადა იგი. იმ ძროხების წველადობა, რომლებიც ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით გაჩდნენ, თითქმის 220 კილოგრამით ნაკლები იყო დეკემბრიდან ივნისის ჩათვლით გაჩენილებთან შედარებით. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ძროხების მერძევეობაზე დიდ გავლენას ახდენს ემბრიონის ფორმირების საწყის ვადებში დედის კვების პირობები. ამიტომაც ძროხის კვების უფრო ხელსაყრელ თვეებში ჩასახული საფურე ხბორები შემდგომში უფრო პროდუქტიულები ხდებიან.

მძლავრი ტრაქტორი

ამერიკულმა ფირმამ, „ნორტერნ მენიუფექჩურინგმა“, რომელიც მძლავრ სასოფლო-სამეურნეო თვლიან ტრაქტორებს უშვებს, შექმნა ახალი ტრაქტორი — „ბიგ-ბადი“. მისი სიმძლავრე 450 ცხენის ძალაა და აქვს ოთხი შეწყვილებული წამყვანი თვალი.

ტრაქტორზე დაყენებულია დიზელის ძრავა. ცილინდრების განლაგება „ხაზობრივია“, ტრანსმისია — შეწყვილებული, წამყვან ღერძებს აქვს პლანეტარული რედუქტორი. ტრაქტორზეა აგრეთვე გადამის ორდინისკოიანი ქუroო, ორი ჰიდროტუმბო — წუთში 88 ლიტრი მწარმოებლობისა, ხაწვავი ავზის ტევადობა ორი ათასი ლიტრია.

კომფორტული კონდიციონერ ჰაერიანი კაბინა დამონტაჟებულია რეზინის შუასადებებზე. ჰიდრავლიკის საშუალებით შეიძლება კაბინის უკან გადაწევა, რაც ტრანსმისიის კვანძებთან და ჰიდრავლიკურ დანადგარებთან მიდგომას აადვილებს.

ვიზიტი დამთავრდა

მეხიკო, 15 სექტემბერი. დამთავრდა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფამ ვან დონგის ოფიციალური მეგობრული ვიზიტი მექსიკაში. მან მოლაპარაკება გამართა მექსიკის პრეზიდენტთან ხოსე ლოპეს პორტილიოსთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ხორხე კასტანიედასთან ორმხრივი ურთიერთობის საკითხებისა და ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო პრობლემებზე.

პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა მაღალი შეფასება მისცა მეუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ჰავანის მეექვსე კონფერენციის შედეგებს, დაახასიათა იგი როგორც მეუმხრობლობის მოძრაობის განვითარებაში წინგადადგმული დიდი ნაბიჯი. კონფერენციის ტრიბუნა იმპერიალიზმისა და მისი მოკავშირეების სამსჯავროდ იქცა, ხაზი გაუსვა მან. ჰავანის ფორუმის ბევრი მონაწილის გამოსვლებში გამოხატული იყო სოლიდარობა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი, მადლობა მეუმხრობელი ქვეყნებს მოძრაობისადმი მათი დახმარებისათვის.

კარიკატურისტის თვალით

შეერთებულ შტატებში ფართოვდება კამპანია გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირ-ამერიკის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციის დაჩქარებისათვის. კამპანიის მონაწილეებმა, კერძოდ, დაგმეს ამერიკის ადმინისტრაციის ამასწინანდელი გადაწყვეტილება წამოიწყონ შეტევითი საკონტინენტთაშორისო ახალი ბალისტიკური რაკეტის მასობრივი წარმოება. (გაზეთებიდან).

რაღაა იგი სინათლე,
რასაცა ახლავს ბნელია!

გ. ლომიძის ნახატი.

დამანგრეველი შედეგები

ნიუ-იორკი, 15 სექტემბერი. მთლიანად დანგრეული სახლები და ადმინისტრაციული შენობები, მიწაზე გართხმული ელექტროგადამცემი ხაზები და აყირავებული ავტომობილები — ასე გამოიყურება ამერიკის სამი შტატის: ფლორიდის, მისისიპისა და ალაბამის სანაპირო რაიონები, რომლებსაც ოთხშაბათს ღამით გრიგალმა „ფრედერიკმა“ გადაუარა. ქარის სიჩქარე ზოგჯერ საათში 200 კილომეტრს სჭარბობდა. 5 მეტრამდე სიმაღლის ზვირთებმა დაანგრიეს ზოგიერთი პატარა ზღვისპირა ქალაქი. „საკურორტო ქალაქი გალფ-შორსი საერთოდ მიწასთან გაასწორა გრიგალმა, რომლის შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალი ასმილიონობით დოლარად არის შეფასებული. მარტო ფლორიდის შტატში წინასწარი გაანგარიშებით, იგი თითქმის 100 მილიონ დოლარს შეადგენს.

უკანასკნელი მონაცემებით, სტიქიამ 9 კაცი შეიწირა. როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, სასწრაფოდ რომ არ გაეხიზნათ 500 ათასი კაცი იმ რაიონებიდან, რომლებსაც გრიგალი უნდა დასტყდომოდა.

ალაბამის შტატის ქალაქ მობილში, რომელიც სანახევროდ დაცარიელდა, კომენდანტის საათია შემოღებული, რათა თავიდან აიცილონ მასობრივი ძარცვა. შტატის გუბერნატორმა ეროვნული გვარდიასა და პოლიციას უბრძანა სასტიკად გაუსწორდნენ დამნაშავეებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა 30 ოლქი, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა გრიგალის შედეგად, „უბედურების რაიონებად“ გამოაცხადა, რაც მათ ფედერალური დახმარების მიღების უფლებას აძლევს.

ჩვენდა სასიკეთოდ

გავაძლიერეთ ყურძნის, ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადებისა და თბილისში შემოტანის ტემპი

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხილ-ბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის აღება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. კახეთის რაიონებში დაიწყო მასობრივი რთველიც. ამ დღეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოების მუშაკთა, დამამზადებელთა, ტრანსპორტელთა შეთანხმებულ მუშაობას, რათა საზოგადოებრივი ვენახების, ბაღებისა და ბოსტნების ბარაქა ფართო ასორტიმენტით უწყვეტად მიდიოდეს ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების სპეციალიზებულ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში. უნივერსალურ თვითმომსახურების მაღაზიებში აღმო

გზა წინ გვიდევს!..

● სოციალური პროგრესი და ლიტერატურა ● მწერლობა პასუხისმგებელია ადამიანთა გედის გამო ● ხალხთა შორის მეგობრობისა და ჰუმანიზმის იდეალების სახელით.

ოროგორც გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, ამ დღეებში, ქ. ბათუმში გაიმართა საბჭოთა და ამერიკელ მწერალთა შეხვედრა. სხვა საბჭოთა მწერლებთან ერთად ერთ-ერთ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ. ქვემოთ ვბეჭდავთ ამ სიტყვას, რომელშიც ლაპარაკია იმ საკითხებზე, რომლებსაც ბათუმის შეხვედრა-დიალოგის თემა ითვალისწინებდა.

ნეგა მომეცით, გულითადად მოვესალმო ამერიკელი და საბჭოთა მწერლების ჩამოსვლას საქართველოში, ჩვენს მშვენიერ ბაზარში. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენი სხდომის თავმჯდომარეს, ქართული კულტურის დიდ მეგობარს ნ. ტ. ფედორენკოს, რომელმაც ესოდენ ამაღლებულად ილაპარაკა ჩვენი ერის სახელოვან ისტორიასა და მის ძველ კულტურაზე (ნ. ფედორენკოს სიტყვის ვრცელი ნაწყვეტი დაიბეჭდა „კომუნისტის“ 9 სექტემბრის ნომერში. — რედ.).

ჩვენ საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე ბრძანდებით და მე ჯერ ჩემს მეგობარ ქართველ მწერლებთან ერთად ქართულ მწერლობას წარმოვადგენ.

ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა. იგი ბიბლიური თუბალებისა და მუსხების ენაა და ენათმეცნიერები მის სათავეებს ხეთებისა და შუმერების სამყაროში ეძებენ.

ეს ენა დღესაც ცოცხლობს, ჰყვავის და თანამედროვე მეცნიერებისა და ლიტერატურის სამსახურში არნახულად ვითარდება.

დღეს მსოფლიოში სულ 14 ანბანი არსებობს და მათ შორის ერთ-ერთი უძველესი ქართული დამწერლობაა — უაღრესად თავისებური და ლამაზი.

შარშან ჩვენ ვიდღესასწაულეთ ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრინდელი ლიტერატურის ძეგლის შექმნის მე-1500 წლისთავი. ამ 1500 წლის მანძილზე ქართული ლიტერატურა განუწყვეტლივ ვითარდებოდა ჩვენს დრამდე. XII საუკუნეში ძველმა ქართულმა მწერლობამ მიაღწია თავისი აყვავების მწვერვალს, როცა უკვდავმა რუსთაველმა შექმნა ქართველი ხალხის ეროვნული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“.

დღეს ქართული კულტურა ახალი მნიშვნელოვანი ალმაფლობის გზაზეა საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში და ქართულ ლიტერატურას დამსახურებულად აქვს მოპოვებული ერთ-ერთი მოწინავე ლიტერატურის რეპუტაცია.

ამ მცირე შესავლის შემდეგ მე მინდა ჩემი მოსაზრებები გავაზიაროთ იმ არსებითს საკითხებზე, რომლებსაც ამერიკელი და საბჭოთა მწერლების დღევანდელი დიალოგის თემა გულისხმობს.

ჩვენი დროის სოციალური პროგრესი დიდად არის დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციაზე. საუკუნის დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ თავისებური გავლენა მოახდინეს ადამიანის ფსიქიკაზეც, ბევრი რამ შეიცვალა საგნებისა და მოვლენებისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში. მანქანების მოზღვავებამ საკმაოდ შეავიწროვა ადამიანის ადგილი ბუნებაში და, არცთუ იშვიათად, ახალი ტრაგიკული ნოტები შეიტანა ისედაც დრამატიზმით სავსე მის ცხოვრებაში.

მაგრამ ამ სიახლეების როლი ადამიანთა და საგნთა დამოკიდებულებაში გადაჭარბებით როდი უნდა შეეფასოთ. მათი მნიშვნელობა არც ისე დიდია, როგორც ამას ზოგჯერ ამტკიცებენ. სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა ადამიანს სოციალური გარემოს გავლენა: იცვლება ეს გარემო და ცვლილებას განიცდის ადამიანის ფსიქიკაც, შეგნებაც, გემოვნებაც, სგზენიასა და მოვლენებისადმი ადამიანის დამოკიდებულება. მაგრამ ახალი ისტორიული მეცნიერება მაინც ცნობს და აღიარებს, რომ ადამიანის ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს რაღაც მუდმივი ფონდი, რომელიც ყველა დროსა და გარემოში უცვლელი რჩება. ეს „ფონდი“ რომ არ არსებობდეს, ჩვენ ვერ გავიგებდით არა მარტო ანტიკური და შუა საუკუნეების ადამიანთა ქცევასა და ხასიათს, არამედ ჩვენი მამებისა და უახლოესი წინაპრების ფიქრსა და ზრახვებს, მათს გრძნობებსა და ცდილებას. ჩვენი დროის ადამიანსაც ისევე უყვარს და სძულს, უხარია და წუხს, როგორც მრავალი საუკუნის წინანდელ ჩვენს წინაპარს; დღესაც ისევე უმძიმთ შეყვარებულებს ერთმანეთთან გაყრა, როგორც ვეროონის აივანზე უმძიმდათ ერთმანეთის განშორება თავდავიწყებით შეყვარებულ შექსპირის ახალგაზრდა გმირებს. დღესაც ისევე ენატრებათ შორეულ წყლებში მყოფ მეზღვაურებს თუ კოსმოსური ხომალდებით მჭრელავ მფრინავებს სამშობლოსა და ცოლშვილში დაბრუნება, როგორც ოდისევსსა და მის თანამგზავრებს.

სანამ ყველა ეპოქისათვის საერთო და უცვლელი ეს ფონდი არსებობს ადამიანურობისა, მანამდე მწერლობის არსებობაც გარანტირებულია და მისი ფუნქციაც მნიშვნელობას არ დაკარგავს. პოეზია მუდამ იქნება სასურველი და განუყოფელი თანამგზავრი ადამიანისა, რა მანქანითაც და რა წარმოუდგენელი სიჩქარითაც უნდა იმოგზაუროს მან.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი საგულისხმო შემთხვევა. კოსმოსში გაჭრილ პირველ ადამიანს, უკვე ლეგენდად ქცეულ იური გაგარინს, თან, როგორც თვითონ განაცხადა, ერთი საყვარელი პოეტის წიგნიც ჰქონია და ის გაგარინის საყვარელი ავტორი ჩვენი მეგობარი ქართველი პოეტი იყო.

თურმე კოსმოსური სივრცეიდან უნდა გახედო ჩვენს პლანეტას, რომ სრულად შეიცნო მისი განუმეორებელი სილამაზეცა და მისი უმეობაც გალაქტიკების გონებამიუწვდომელ უსაზღვროებაში.

ჩვენ არ ვიცით რა საფრთხე ემუქრება ჩვენს პლანეტას ციური მექანიკის ღვთაებრივ წესრიგში, რომელმაც აგერ უანგარიშო წლების მანძილზე უზრუნველყო მისი არსებობა, მზისა და საკუთარი ღერძის გარშემო დაუსრულებელი ტრიალი.

მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჩვენს პლანეტას თვითონ ჩვენგანვე, ადამიანებისგანვე ემუქრება განადგურების საფრთხე, სიცოცხლის მოსპობის საფრთხე მას შემდეგ, რაც მეცნიერების უდიდესმა აღმოჩენამ სამზედროო გამოყენება პოვა ხიროსიმასა და ნაგასაკში. რაკი შესაძლებელი ატომური ომის შემდეგ ადამიანის მოსპობის, სიცოცხლის მოსპობის საფრთხე რეალურია, შეგნებულ კაცობრიობას არ შეუძლია გულგრილი იყოს მოახლოებული კატასტროფის წინაშე.

აღორძინების ეპოქის უდიდესმა პოეტმა დანტემ ყველაზე გავარვარებული ადგილი ჯოჯოხეთში მათ მიუჩინა, ვინც უდიდესი მორალური გამოცდის ჟამს გულგრილი neიტრალიტეტი არჩია მოვლენების განვითარებაში აქტიური ჩარევას.

მწერლობა საერთოდ პასუხისმგებელია ადამიანთა ბედის გამო. ხოლო დღეს ეს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით ამერიკელ და საბჭოთა მწერლებს ეკისრებათ, რომელთა გავლენა თავიანთ ხალხსა და საზოგადოებრივ აზრზე განსაზღვრელად დიდი და მნიშვნელოვანია.

რაკი ატომური კატასტროფის შესაძლებლობა რეალურია და რაკი ჩვენ ყველას ამ კატასტროფისაკენ შეუჩერებლად მივაქანებს გამალებული შეიარაღება, ამერიკელ და საბჭოთა მწერლებს უფლება არა აქვთ ყველა ღონე არ იხმარონ ამ მოახლოებული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, ჩვენი პლანეტისა და სიცოცხლის გადასარჩენად.

თქვენი შესანიშნავი თანამამულე, ჩვენი დროის გამოჩენილი ამერიკელი მწერალი ჯონ სტეინბეკი ორჯერ იყო საქართველოში. უკანასკნელად ჩამოსვლისას ქართველ მწერლებთან შეხვედრაზე მან ილაპარაკა მწერლობის ძალაზე, მისი ზემოქმედების დიდ მნიშვნელობაზე. შეკითხვაზე, მაინც რა შეუძლია მწერლობასო, მან უყოყმანოდ უპასუხა: „მწერლობა დიდი ძალა და მას ყველაფერი შეუძლია. ამის მაგალითი გახლავთ შესანიშნავი ამერიკელი მწერალი ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ, რომლის წიგნმა „ბიძია თომას ქოხმა“ რევოლუცია მოახდინა ამერიკაშიო“.

მსგავსი მაგალითი ყველა ხალხის ისტორიაში მოიძებნება და მით უფრო ისეთი მცირერიცხოვანი ხალხების ისტორიაში, როგორიც ჩვენი ვართ, ქართველები, სადაც მწერლობის გავლენა მუდამ უსაზღვრო იყო და მწერლები ერის მედროშეები, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და არსებობისათვის ბრძოლის მეთაურები იყვნენ.

დიახ, მხატვრული სიტყვა დიდი ძალაა და მწერლობას ბევრი რამ შეუძლია!

ჩვენ არ გვაპატიებს შთამომავლობა, რომ ეს ძალა ხალხის საკეთილდღეოდ არ მივმართოთ და მხატვრული სიტყვის მთელი ზემოქმედება ახალი გამანადგურებელი ომის თავიდან ასაცილებლად არ გამოვიყენოთ.

ახლა ალბათ დადგა ჟამი, როგორც არასდროს, როცა მარტოოდენ ესთეტიკური ტკბობა და ფიზიდა პოეზიის ბროლის კოშკიდან ნეიტრალური ჭვრეტა მწერლობისათვის დანაშაულს უდრის.

ჩვენმა თაობამ ნახა და განიცადა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი. იმ ომის დროს მსოფლიოს მთელი მწერლობა ერთსულოვნად ებრძოდა რასიზმსა და ჰიტლერულ კაცობამიობას, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზატორებს და შთამომავლობას შთაგონებდა, რომ არასოდეს განმეორებულიყო ლიდიცე და ორადური, ხიროსიმა და ნაგასაკი. ჩვენი პლანეტის ლიტერატორთა სასაზღვრო უნდა ითქვას, რომ მათ შორის არ აღმოჩნდა არც ერთი მნიშვნელოვანი მწერალი, რომელიც გერმანული ფაშიზმის ვანდალობას ტაშს დაუკრავდა და ყურს წაუყრუებდა.

ახლა, როცა ახალი ომი პირისაგან მიწისა ადამიანის აღგვას გვემუქრება, ეისთვისღა ვწერთ ჩვენ, თუ ამ მოსალოდნელი ომის შემდეგ წიგნის წამკითხველი აღარ იქნება და კაცობრიობის ისტორიას წერტილი დაესმება?

უკვე დაისახა იმედის მომცემი გზები გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად; კაცობრიობის ბედისათვის სხვაზე მეტად პასუხისმგებელი ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურებმა ხელი მოაწერეს ვენაში ხელშეკრულებას, რომელსაც ასე ელოდნენ ხალხები. ახლა ჩვენ და თქვენ, ამერიკელმა და საბჭოთა მწერლებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ეს ხელშეკრულება განხორციელდეს და კვლავ გადაიდგას წინ ახალი ნაბიჯები ატომური ომის საფრთხის სალიკვიდაციოდ.

ამაზე კეთილშობილურ საქმეს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გავაკეთებთ და თუ ჩვენი მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში ჩვენი მწერლობის ავტორიტეტის შესაფერისი იქნება, ამით არა მარტო მომავალი თაობების აღტაცებას დავიმსახურებთ, არამედ ჩვენი დიდი წინაპრების ანდერძსაც ღირსეულად შევასრულებთ.

დიდი მწერლობა მუდამ გმობდა დამპყრობელ ომებს, ერთი ხალხისაგან მეორის გათელვას, დიდი მწერლობა მუდამ ხალხთა შორის მეგობრობას და ჰუმანიზმის კეთილშობილურ იდეებს ქადაგებდა.

ასეთია ამერიკის ლიტერატურის სახელოვანი ტრადიცია, ასეთია საბჭოთა ლიტერატურის სახელოვანი ტრადიცია.

მაშ, ვიყოთ ამ ტრადიციების ერთგული და ხელი მივცეთ ერთმანეთს, რათა ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოვიხადოთ ჩვენი და მთელი მსოფლიოს ხალხების წინაშე.

ჩვენ, ამერიკელ და საბჭოთა მწერლებს, ურთიერთგაგება ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასოდეს, რადგანაც ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ ახალი ომის თავიდან ასაცილებლად. მშვიდობა, უოლტ უიტმენისა არ იყოს „რა ფასიც უნდა მოგვთხოვონ, გაცილებით მეტი ღირს!“

სიცოცხლეზე ლამაზი არა არის რა. სიცოცხლის სიყვარულით აშენდა აკროპოლი და წმინდა პეტრეს ტაძარი, სიცოცხლის სიყვარულმა შექმნა დინ-ჯიხოტი და ფაუსტი, კიტსისა და პუშკინის ლირიკა, ჰაიადატის სიმღერები და ვაჟა-ფშაველას პოემები.

მაშ ვიბრძოლოთ სიცოცხლის დასაცავად, მისი შემდგომი აყვავებისათვის!

და როგორც იგივე უიტმენი ამბობს: „Allons! გზა წინ გვიდევს!“.



მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ბეჭდვითს ტრადიციას XVII საუკუნის პირველი მესამედის დამლევს ჩაეყარა საფუძველი: 1629 წელს რომის კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების, ე. წ. „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბაში პირველად იხილა დღის სინათლე ბეჭდური წესით შესრულებულმა ქართულმა ტექსტებმა, რომელთა შორის ორი — „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ და „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ — ცალკე წიგნებად გამოქვეყნდა.

ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენის მნიშვნელობას უდავოდ აორკეცებს ის გარემოება, რომ იმდროინდელ საქართველოში თითქმის გამორიცხული იყო ყოველგვარი შესაძლებლობა ასეთი ღრმაშინაარსიანი ეროვნული დანიშნულების კულტურული ღონისძიების განსახორციელებლად. საკმარისია გავიხსენოთ, რომ პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემა ჩვენი ისტორიის იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც შაჰ აბას I შემოსევათა შედეგად ღონემიხდილი აღმოსავლეთ საქართველო უკანასკნელ ძალებს იკრებდა ურიცხვი მტრის ახალ შემოტევათა მოსაგერიებლად, „ციხის შიგნიდან გამტეხ“ შინაარეულობის დასაშოშმინებლად და, ერთდროულად, ძლიერ და საიმედო მოკავშირეს ეძიებდა ჩრდილოეთსა თუ დასავლეთში. ქართლ-კახეთის მეგრძოლი მეფის თეიმურაზ I შესაბამისმა პოლიტიკამ, კერძოდ, დიდად შეუწყო ხელი XVII საუკუნის პირველი მეოთხედის დამლევს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქართული ელჩობის გამგზავრებას, რომელმაც სასურველი დიპლომატიური აქციის საცვლად ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელობის დიდი კულტურული ღონისძიება განახორციელა.

პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოქვეყნების დამადასტურებელ ერთადერთ წყაროდ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრამდე ამ წიგნების შინაარსი, მათი სატტულო მონაცემები და „ქართულ-იტალიური ლექსიკონისათვის“ დართული მიძღვნის ტექსტი გვევლინებოდა („მიძღვნა“ რომის პაპის ურბან VIII-სადმი ეყო მამართული, მას ხელს აწერდა „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის მმართველი აქილ ვენერიო). აქ დამოწმებული ცნობებიდან უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ ქართული წიგნების რომში გამოქვეყნების უშუალო მონაწილე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თეიმურაზის ელჩი ნიკიფორე ირბახი ყოფილა, რომელიც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია ცნობილ ქართველ სასულიერო მოღვაწეთანთან ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბაჰიძე-ჩოლაყაშვილთან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით საზღვარგარეთ, კერძოდ, იტალიაში 1977 წელს განხორციელებული სამეცნიერო მივლინების შედეგად ვატიკანისა და „პროპაგანდა ფიდეს“ არქივებში მოძიებულია XVII საუკუნის საქართველო-იტალიის ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მასალა, რომელიც მეტნაკლებად ავსებს ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებს ნიკიფორე ირბახის ელჩობისა და რომში 1629 წელს გამოქვეყნებული ქართული წიგნების შესახებ.

ნიკიფორე ირბახისა და მის თანმხლებს პირთათვის დიდად ხელშეშფყობი გამხდარა ახლო ურთიერთობა თეატინელ ბერებთან, რომელთა უშუალო შეშფოთებითა და დახმარებით განხორციელდა ელჩობის ორი ძირითადი ეტაპი — ესპანეთს გამგზავრება და ამის შემდეგ რომში მოღვაწეობა ვიდრე საქართველოში გამომგზავრებამდე. ქართული ელჩობა მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში განხორციელდა: XVII საუკუნის პირველი მესამედის დასავლეთ ევროპა ჯერ კიდევ იმ დიდ სოციალურ-პოლიტიკური ძვრებისა და „იეზუიტების წახდენის“ საწინააღმდეგო საყოველთაო მოძრაობის სარბიელს წარმოადგენდა, რომელმაც საბოლოოდ გამიჯნა ლუთერის, ცვინგლისა და კალვინის მოძღვრებებზე აღმოცენებული პროტესტანტიზმი ტრადიციული კათოლიციზმისგან. ამ მოძრაობამ საფუძვლიანად შეარყია კათოლიკური სარწმუნოების ბურჯის — ვატიკანისა და მისი მფლობელის რომის პაპის პოზიციები დასავლეთ ევროპასა და საერთოდ კათოლიკურ სამყაროში. XVII საუკუნის პირველ მესამედში რომის ეკლესიის მიერ განხორციელებულ კონტრრეფორმატორული შინაარსის ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო სამისიონერო საქმიანობის წინა პლანზე წამოწევა. პაპის ხელისუფლება ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა კათოლიკური სარწმუნოების, ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებში, ქადაგების საშუალებით ახალი მრევლი შეეძინა და ამ გზით დასავლეთ ევროპაში იძულებთ დათმობილი პოზიციების ერთგვარი კომპენსაცია მოეხდინა.

სხვადასხვა ქვეყანაში კათოლიკე მქადაგებელთა წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად რომში საგანგებო დაწესებულებები დაარსდა: 1622 წელს — კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოება (ანუ ე. წ. „პროპაგანდა ფიდეს კონგრეგაცია“), ხოლო 1626 წელს — მისდამი დაქვემდებარებული მრავალენოვანი სტამბა, რომელსაც კონგრეგაციის წევრისა და სტამბის სუპერინტენდანტად (მმართველად) დანიშნულ აქილ ვენერიოს საკუთარ სახლში ჩაეყარა საფუძველი (შენობა ცნობილი ფორუმის გვერდით სალიტა დელ გრილოს აღმართთან ეუჭიზეა განლაგებული, რომელსაც ადრე მოწტე მანინანაპოლი ერქვა). სტამბის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი მრავალმხრივი საქმიანობის სულისჩამდგმელი სტეფანო პაოლინი იყო, რომელსაც „პროტოს“ ანუ პასუხისმგებელი მბეჭდავის თანამდებობა დაეკისრა. თანამედროვენი ს. პაოლინის „მაგნიფიკო სტამპატორეს“ ანუ „ბრწყინვალე მბეჭდავს“ ეძახდნენ. იგი განთქმული რომაელი მეცენატის მ. ბ. რაიმონდის მოწყალე იყო და ერთხანს ჯერ მედიჩის აღმოსავლურენოვან სტამბაში, ხოლო შემდეგ ვატიკანის სტამბაში მსახურობდა.

უპირატესად სწორედ ამ ორ დაწესებულებას დაუკავშირდა მადრიდიდან რომში ჩასული ნიკიფორე ირბახის პირველივე ნაბიჯები დიპლომატიურსა და კულტურულ სარბიელზე. „პროპაგანდა ფიდეს“ მესვეურებმა ნიკიფორეს ელჩობის პოლიტიკური მხარე ჯერ სრულიად უგულვებელყოვეს და ყურადღება სასულიერო საკითხებზე გაამახვილეს, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ ქართველი მეფის ელჩის რწმუნებათა გასაზიარებლად მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარების აუცილებელი პირობა წამოაყენეს. მიუხედავად ამისა, კონგრეგაციის 1628 წლის 20 ივნისის სხდომაზე „ნიჩეფოროს რწმენის აღმსარებლობის საკითხთან“ ერთად საგანგებოდ იქნა განხილული თეიმურაზ I-ის წერილი რომის პაპის ურბან VIII-სადმი, თუმცა კონგრეგაციის განჩინება ამჯერად წერილის შინაარსში აღძრულ საკითხებს არ შეეხო და ყურადღება მოულოდნელად ისეთ პრობლემაზე გაამახვილა, როგორიც ქართული შრიფტის დამზადება იყო. განჩინების პირველ პუნქტში ამის შესახებ შემდეგი იყო ნათქვამი: „შეიქმნას ქართული ასოების პუანსონები და მატრიცები, რომლებიც როგორც სასულიერო, ისე საერო ტექსტებში იხმარება, რათა ქართველებს შეეძლოთ განსწავლის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, წიგნების ბეჭდვა“. ცხადია, რომ კონგრეგაცია ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა და, მით უმეტეს, ვერ განახორციელებდა, თუ ქართველი მეფის ელჩის მხრივ სათანადო დახმარების აღმოჩენის პირობა წინასწარ არ ეკნებოდა დადასტურებული. ეს დასკვნა კი იმაზე მიუთითებს, რომ ნიკიფორე ირბახმა, ალბათ ისევე, როგორც მისმა თანმხლებმა პირებმა, ჯეროვნად შეაფასა შეთავაზებული წინადადების მნიშვნელობა არა მხოლოდ მისი ელჩობის შედეგიანობის თვალსაზრისით, არამედ ბევრად უფრო ფართო და ღრმაშინაარსიანი ცნების — ქართული კულტურის პროგრესის გათვალისწინებით.

„პროპაგანდა ფიდეს“ არქივში აღმოჩნდა ურბან VIII-სადმი აქილ ვენერიოს ზემოხსენებული მიძღვნის შედარებით ვრცელი და სახეცვლილი ხელნაწერი დედანი, რომელიც არა მხოლოდ იმ მხრივ არის საინტერესო, რომ პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოქვეყნების კონკრეტულ თარიღსა (1629 წ. 1 აგვისტო) და ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების სამ უშუალო მონაწილეს (ნ. ირბახი, ს. პაოლინი, ა. ვენერიო) გვამცნობს, არამედ განსაკუთრებით იმით, რომ „წარმოდგენს გვიქმნის მათი საქმიანობის სპეციფიკასა და დეტალებზე. სამწუხაროდ, საბუთში არ არის მითითებული ერთ-ერთი ძირითადი (მეოთხე) მონაწილე ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ამ ღირსსახსოვარი მოვლენისა — ასოთმჭრელი და ჩამომსხმელი, რომელსაც დაევალა ქართული შრიფტის დამზადება. გულდასაწყვეტია, რომ ისტორიას არ შემორჩა მისი გვარი და სახელი: საარქივო საბუთებში იგი მოხსენიებულია მისი ეროვნების აღმნიშვნელი იტალიური სიტყვით „ტედესკო“, რაც გერმანელს ნიშნავს. „ტედესკო“ ბრწყინვალე მცოდნე ყოფილა თავისი საქმისა და ეს ნათლად ჩანს მის მიერ ჩამოსხმული ქართული შრიფტის მიხედვითაც, განსაკუთრებით კი იმ ფილიგრანული ხელოვნებით შესრულებულ ქართულ ასოთა ლიგატურების მიხედვით, რომელთა ასე ნატიფად დამზადება, ალბათ, დღესაც გაუჭირდება ამ ენის მცოდნე ხელოსანს.

რაც შეეხება ამ მოვლენის მონაწილეთა ღვაწლსა და დამსახურებას, არსებული ფაქტობრივი ხასიათის მონაცემების საფუძველზე, ჩვენი აზრით, იმ ზოგადი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოცემის სულისჩამდგმელი ნიკიფორე ირბახი ყოფილა. ეს დასკვნა მართებულად გვეჩვენება, მიუხედავად იმისა, რომ ა. ვენერიო („მიძღვნაში“), ხოლო ს. პაოლინი („ლექსიკონის“ ტიტულში) გარკვეულ ტენდენციას ამჟღავნებენენ, რომ მთავარი დამსახურება ამ საქმეში თავიანთ თავს მიაწერონ. მათი დამსახურება, განსაკუთრებით კი სტეფანო პაოლინისა, ჭეშმარიტად განუზომელი და დაუფასებელია, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ქართული ანბანის შედგენასთან ერთად ყველაზე რთულად განსახორციელებელი მოვალეობა — „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სიტყვანის შედგენა (3084 სიტყვით) ნიკიფორეს უკისრია და მეტნაკლებ სისრულითა თუ თვალნათლივი ხარვეზებით კიდეც შეუსრულებია. ერთობ სამპატმატურია ისიც, რომ ერთ-ერთ საარქივო საბუთში, „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ სატტულო მონაცემებისაგან განსხვავებით, ამ წიგნის ერთპიროვნულ ავტორად ნიკიფორე ირბახია მითითებული და ეს გამონაკლისი შემთხვევა როდია.

„პროპაგანდა ფიდეს“ არქივში მივაკვლიეთ აგრეთვე ცნობას, რომ 1629 წელს ამ სასულიერო დაწესებულების სტამბაში გარდა „ქართული ანბანისა ლოცვებითურთ“ და „ქართულ-იტალიური ლექსიკონისა“ გამოუშვიათ პირველი ნაბეჭდი ქართული ტექსტების მესამე ნაირსახეობაც, რომლის ერთპიროვნულ ავტორად საბუთებში ისევ ნიკიფორე ირბახი იყო მითითებული. ერთადერთი („აუცილებელი“) ეგზემპლარი ამ დღემდე უცნობი ქართული ნაბეჭდი ტექსტისა ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკაში“ იქნა მიკვლეული. ეს აღმოჩნდა ერთ გაშლილ ფურცლად დასტამბული არაორგინალური ქმნილება ნიკიფორე ირბახისა, არამედ მის მიერ ლათინურიდან ქართულად ნათარგმნი, წარსულში პოპულარული ლოცვა ღვთისმშობლისადმი „ლიტანია ლაურეტანა“ სახელწოდებით (იტალიის ერთ-ერთი ქალაქის ლორეტოს მიხედვით).

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაბეჭდი ქართული ტექსტები მხედრული შრიფტით დასტამბა, „პროპაგანდა ფიდეს“ გადაწყვეტილება მხედრულთან ერთად ნუსხური შრიფტის დამზადების თაობაზე განუხორციელებელი არ დარჩენილა.

ახალი საბუთებით დასტურდება, რომ „პროპაგანდა ფიდეს“ სტამბის სასულიერო შინაარსის ნაწარმის საქართველოში გაგზავნა არაერთგზის განხორციელებულა. მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობისაა საარქივო ცნობა პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების საქართველოში გამოგზავნის თაობაზე, რომელიც დამოწმებულია ორიგინალური შინაარსის საბუთში. ეს არის 1630 წლის 7 სექტემბერს შედგენილი ინსტრუქციის ტექსტი მისიონერთათვის, რომლებიც საქართველოში მოემგზავრებოდნენ. ინსტრუქციის VI და VII პუნქტებში, კერძოდ, აღნიშნულია: „(VI) გვაცნობონ (მისიონერებმა — ჯ. ვ.), კარგი გამოვიდა თუ არა ქართული შრიფტი და სხვა დაბეჭდილი ტექსტები, რომლებიც თან მიაქვთ. თუ მასში შეცდომებია გაპარული, ჩაასწორონ და სათანადო კორექტურით უკან გამოგვიგზავნონ და თუ რაიმე გამოტოვებულია, თავაზიანად მიგვითითონ. (VII) გვაცნობონ იმ სასულიერო თუ საერო წიგნების შესახებ, რომლებიც მოიპოვება იმ მხარეებში, მათ ავტორებზე და შინაარსზე, განსაკუთრებით ბიბლიასა და სასულიერო წიგნებზე, როგორიც არის ლითურგიები, ლოცვანი და სხვა, რომ მათი გადაღებული ასლები გაეგზავნოს წმ. კონგრეგაციას, თუ ეს დიდ ხარჯებთან არ იქნება დაკავშირებული და ძალზე ძვირი არ დაჯდება, წინაადმდეგ შემთხვევაში დაეკითხონ წმ. კონგრეგაციას, სანამ ასეთი ხარჯებს გაიღებენ“.

ინსტრუქციის ზემოციტირებული ორი მომცრო პუნქტის შინაარსი მეცნიერულად დიდად ფასეულია იმდენად, რამდენადაც ბევრისშეტყველ ისტორიულ ინფორმაციას შეიცავს. ირკვევა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში 1629 წელი სიმბოლური აღმოჩნდა არა მხოლოდ პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების გამოქვეყნების შაჰ აბას I სიკვდილთან ქრონოლოგიური დამთხვევით, არამედ იმითაც, რომ საარქივო საბუთში დადასტურებული ფაქტი ამ წიგნების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სააპრობაციოდ საქართველოში გადმოგზავნისა (მათი ჩამოწევა დანიშნულებისამებრ დღეს უკვე დადგენილია) პირველი ძლიერი კულტურული სხივი იყო წყვდიადის გასაფანტად, რომელმაც საქართველო დროებით მოიცვა ამ მტარვალის შემოსევების შედეგად. ეს ფაქტი და მასთან ერთად „პროპაგანდა ფიდეს“ მესვეურთა დაინტერესება საქართველოში იმჟამად არსებული სასულიერო და საერო ლიტერატურით ერთადერთი მართებული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა: თუმცა პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნები იტალიაში გამოიცა, იგი მთელი თავისი შინაარსით, ძირფესვიანად იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან იყო დაკავშირებული და მისითვე განპირობებული.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების რომში გამოქვეყნების ფაქტი ძნელად შეიძლება გადაჭარბებით შეაფასო ჩვენი კულტურის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცხოვრებაში დამკვიდრებულმა პროგრესულმა მეთოდმა წიგნების გავრცელებისა თანდათან მკვეთრად გამიჯნა ქართული ხელნაწერი და დაბეჭდილი ლიტერატურის ფუნქცია-მოვალეობანი, მან შეისისხლხორცა საუკეთესო ტრადიციები მრავალსაუკუნოვანი ქართული ხელნაწერი ლიტერატურისა და შესაძლებელი გახადა ამ ლიტერატურის უნიკალური ძეგლების არა მხოლოდ სტამბური წესით ფიქსირება, არამედ მათი პოპულარიზაციაც. ამას ქართულ განმანათლებლობაში სოციალური მნიშვნელობის უდიდესი შედეგი მოჰყვა: ხელნაწერი წიგნისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად პრივილეგირებული კლასის საკუთრებასა და თავშესაფარს წარმოადგენდა, ქართული ნაბეჭდი წიგნი გასცდა სოციალურ ბარიერებსა და თანდათან ხალხის ფართო მასებისაკენ გაიკაფა გზა, რითაც ობიექტურად დიდად შეუწყო ხელი მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის გახალხურებას. თუმცა ქართული ნაბეჭდი წიგნის განვითარების პირველ ეტაპზე სასულიერო ლიტერატურა, ჩვეულებრივ, სჭარბობდა საეროს, იტალიაში, რუსეთსა და საქართველოში გამოცემულ ქართულ წიგნთა შორის არაერთი იყო საერო შინაარსისა. მათ შორის ვარსკვლავივით გამოსჭვივის ვახტანგ VI მიერ 1712 წელს „ვეფხისტყაოსანი“ იმდროინდელ ბრწყინვალედ განხორციელებული გამოცემა. ეს ერთგვარი გვირგვინი იყო ქართულენოვანი ბეჭდვითი სიქმის საწყისი პერიოდისა, რომელსაც დასაბამი დაუდო 1629 წელს რომში დაბეჭდილმა ქართულმა წიგნებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ უპრეცედენტო და ღირსსახსოვარმა მოვლენამ საქართველოს ფარგლებს გარეთ იჩინა თავი, რასაც კონკრეტული ისტორიული ახსნა აქვს, და რომ მისი განხორციელება, გარკვეული აზრით, კათოლიკური ეკლესიის იმდროინდელ მესეფურთა ვიწრო-კლერიკალური მიზნებით იყო განპირობებული, იგი უპირველეს ყოვლისა თავისი ღრმა ეროვნული შინაარსით არის მნიშვნელოვანი. 1453 წლიდან მოყოლებული, როდ

რეიდი მაყურებელთა თხოვნით

„კინოფილმს ნორმალურად ვერ ვუყურებთ. ბილეთებს სიმწრით ვშოულობთ. ოქნებ თქვენმა სიტყვამ გასჭრას“, — სულ უფრო გახშირდა ასეთი შინაარსის წერილები რედაქციის სახელზე. მათი ავტორები სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის (უმეტესად უფროსი ასაკის) ადამიანები არიან.

ჰაი, ჰაი, რომ ამ საკითხზე პრესას, რადიოსა და ტელევიზიას არასდროს არ შეუნელებია სჯა-ბაასი. ფელეტონებიც დაიწერა და სეროიოზული სტატიებიც. არაფერი გაშოვიდა? წარსულს გავატანოთ. დღეანდელობა, ჩვენი რესპუბლიკის აღმასვლა თვალს ვერ აარიდებს, ზურგს ვერ შეაქცევს იმ ამბავს, რომ კულტურისა და დასვენების ერთ-ერთი მძლავრი საშუალება კინოთეატრები, კლუბები სისწლსავსე ცხოვრებით არ ცხოვრობდნენ. ნურავის ეგონება, რომ დღეს, როდესაც სასტიკი ბრძოლა გამოვეცხადეთ ყოველგვარ მანკიერებასა და უმსგავსობას, წვრილმანი პრობლემები შეიძლება ხვალ-ზეგ გადაიჭრას. ხვალ-ზეგ ჩვენი მომავალი თაობა აღარ გვაპატიებს გამრუდებულ საქმეთა გადაბრიგებას.

ამაზე მიგვითითებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, ამაზე იყო საუბარი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობით დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ აღნიშნულია, რომ თითოეული ჩვენგანი პასუხს აგებს ყოველივე იმისათვის, რაც შრომითს კოლექტივში, სასწავლებელში და კულტურის დაწესებულებაში ხდება.

კულტურის დაწესებულება... ამ ორ სიტყვაში ყველაფერი გარკვეული და ნათელია. როგორ გვხვდება იგი, როდესაც სულიერი საზრდოს მისაღებად მივაკითხავთ ხოლმე? როგორია ჩვენი დამოკიდებულება ამ წმინდა (დიახ, დიახ!) ადგილის მიმართ? ამ უმთავრესმა საკითხებმა მოატარებინა „კომუნისტის“ სარეიდო ბრიგადას ჩვენი დედაქალაქის რამდენიმე კინოთეატრი. იცოცხლეთ, იქ საკითხთა მთელი წყება დაგვხვდა.

დავიწყოთ იმით, რომ კინოთეატრი დროის მოსაკლავი ადგილი არ არის. იქ ხომ სულიერი საზრდო უნდა მივიღოთ, დავისვენოთ, გავერთოთ. ითვალისწინებენ თუ არა თბილისის კინოთეატრებში იმას, რომ 20-30 წუთით ადრე მისულ მაყურებელს, ვთქვათ, საინტერესო ლიტერატურა, ანდა გონივრულად შერჩეული კინოლექციები გაუმზადონ? სამწუხაროდ, თითქმის — არა. კინოთეატრ „რუსთაველში“ (დირექტორი — გ. გეგუჩაძე) თითქოს ყველაფერი რიგზეა: აქ ხშირად ეწყობა შეხვედრები ამა თუ იმ ქართული ფილმის შემქმნელ კოლექტივთან, დედაქალაქის ცნობილ ადამიანებთან, არსებობს კინოკლუბი „უმაწვილი და კანონი“, სამივე სართულზე მოწყობილია გამოფენა, რომელიც საბჭოთა კინოს მე-60 წლისთავს ეძღვნება, მაგრამ დირექციას მეტი მუშაობა მართებს ახალგაზრდა მაყურებელთან. უნდა გამოიძებნოს ფორმა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს იქ მისულ ბევრ ხელმრუდსა და ავისმქმნელზე. ძნელი არ არის კედლის გაზეთის გვერდით, რომელიც პირველი სართულის ფოიეში გამოუკიდიათ, ფოტოსტენდიც იყოს იმ ბიჭებუჭებისა, რომლებიც მაყურებელთა დარბაზში არც სკამებს ინდობენ და პაპიროსსაც ამოლებენ ხოლმე.

აქ ზოგიერთმა შეიძლება ირონიულად ჩაიღიმოს: მამაცხონებულო, ისეთი რა ძალა აქვს კინოთეატრის დირექციას, ნახევარ საათში ტვინი შეუბრუნოს ავისმქნელსო. მაშინ, ჩვენ, ბატონო, ოჯახმა, საზოგადოებამ მოვახდინოთ გაყლენა. რატომ გავისუსეთ, ცხვირში რომ სიგარეტი შემოგვაბოლა ი. მარიკიანმა — ფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა ტექნიკოსმა, ე. სარქისიანმა — ანაგის ქუჩა №15-ში მცხოვრებმა, გ. სულთანიშვილმა — ორგანული თერაპიული პრეპარატების ქარხნის ელექტრიკოსმა, ი. პაშევმა — მე-3 ავეჯის ფაბრიკის მძღოლმა, გ. ხუბულურმა — გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობმა(?!) და კიდევ რამდენმა.

თამბაქოს წევა სეანსის დროს კინოთეატრ „ისანში“ (დირექტორი — რ. კეზერაშვილი), ეტყობა, ჩვეულებრივი ამბავია. არადა, თვალსაჩინო ადგილებზე კი გაუკრავთ „ჩვენთან აღარ(?!) ეწევიან!“ — ნახეთ, შვილო, სანაგვეი პირდაპირ, სანაგვე, — გვითხრეს დამლაგებლებმა, რომლებსაც შემდეგი სეანსის დაწყებამდე უამრავი ნაგავი, მზესუმზირას ჩენნოები და პაპიროსი ნამწვავები გაჰქონდათ დარბაზიდან. აქ ბოლო რიგებში ერთიანად აუყრიათ პარკეტი, დაუმტვრევიათ სკამები. დირექტორი შვებულებაშიაო. მოადგილეს, ვ. ბერძენიშვილს კარგა ხანს ველოდეთ, მაგრამ ამაოდ. საღამოს სეანსზე კონტროლიორისა და ერთი მეხანძრის გარდა არავინ იყო კინოთეატრში. არ იყო არც რაზმელი, არც მილიციელი, რომ არ სცხელა აღმზრდელობითი მუშაობისათვის, არავის უფიქრია იმაზე, რომ მოიწვიონ კინომცოდნე, ესაუბრონ ახალ თაობას, რატომ არჩევს რომელიმე უგეგმო უცხოურ სურათს მშვენიერ ქართულ ფილმს „ნატვრის ხეს“. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ კინოთეატრი სასწრაფოდ უნდა დაიხუროს, და კაპიტალურად შეკეთდეს.

დედაქალაქის უზარმაზარ ახალ უბანში — გლდანში წელს საპირველმაისოდ დიდი ზარზეიმით გაეხსნენთ კინოთეატრი „შეგობრობა“ (დირექტორი — გ. გამრეკლიძე). ოთხი თვის თავზე დიდ დარბაზში ჭერი ჩამოიხეთქა, ახლახან შეაკოწიწეს და ყოველ წუთში უბედური შემთხვევა ემუქრებოდა. ეს ფანჯარა ჩაუმტვრევიათ დ. გაგნიძეს, ი. დავითაშვილს (39-ე საშუალო სკოლა) და პ. საგინაშვილს (მე-3 საშუალო სკოლა) — მოსწავლეებს.

კინოთეატრ „საქართველოში“ (დირექტორი — ზ. ერისთავი) საღამოს საათებში სეანსის დაწყების წინ ფოიეში უჩვენებენ მულტფილმებს, დოკუმენტურ კინოსურათებს. თუმცა არც აქ (როგორც სხვაგან) იყიდება ახალი ჟურნალ-გაზეთები, კინოლიტერატურა. კედლებზე, დარბაზებში შესასვლელ კარზე, სარკეებზეც კი ამოუჩხაპნიათ: „ინგა“, „რამაზი“, „ლალი“, „ანზორი“, „დათო“...

კინოთეატრი „საქართველო“ ოც წელზე მეტია არსებობს. ამ ხნის მანძილზე თითქმის არ შეკეთებულა. წვიმა ჟონავს სახურავიდან, საშინელი სუნი დგას პირველ სართულზე, საპირფარეშოს სიახლოვეს.

კინოთეატრ „ოქტომბრის“ (დირექტორი გ. გეგეშიძე) დევიზია „კომუნისტურ ქალაქს — სახიმუშო კინოთეატრი“. სახიმუშო აქ, ჯერჯერობით, არაფერია. ათგან მაინც იყო გამოკრული: „ჩვენთან არ ეწევიან!“, სეანსის დასაწყისში რადიოთიც აცხადებენ ქართულ-რუსულად, თამბაქოს ნუ მოსწევთ მაყურებელთა დარბაზში. მერე რა? ეს ფორმა, ეტყობა, უკვე ძალზე მოძველებულია. იქნებ ახალი გამოვძებნოთ. აქ ამფითეატრის მშვენიერი ფოიე გამოუყენებელია, არადა, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ვერ დაიჯერებ, რომ „ოქტომბერი“ 1974 წელს გარემონტდა. აქ ყოველივე თავიდან არის გასაკეთებელი. ძალზე დაბალია კინორეკლამის დონე.

კინოთეატრ „გაზაფხულს“ (დირექტორი — გ. კოროშინაძე) უმეტესად ახალგაზრდობა ეტანება. ეს კინოთეატრი სახელმწიფო ფილმფონდს ეკუთვნის და უჩვენებენ კიდეკე საბჭოთა და საზღვარგარეთის როგორც ძველ, ასევე ახალ ფილმებს. ხდება მათი განხილვა. ამიტომ კინოთეატრთან მეთოდკაბინეტიც არსებობს (მეთოდისტი — მ. მიქელაძე), რომელიც ნებისმიერ დროს ღიაა და ყველას შეუძლია კინოს ირგვლივ ამა თუ იმ საკითხზე საჭირო განმარტებაც მიიღოს. აქ ხშირი და რეგულარულია ღონისძიებები, რომლებიც უთუოდ სასარგებლოა, მაგრამ ხომ უკეთესი იქნებოდა კინოთეატრის მშვენიერ ეზოში მუსიკის ხმები იღვრებოდეს, თუნდაც ჭაღრაკისა და შაშის მაგიდები იდგეს. შენობასაც რემონტი სჭირდება.

ვითომ ყველას გვიყვარს ჩვენი დედაქალაქი (ეს კითხვა უმეტესად ახალგაზრდა კინომაყურებლებს ეხებათ)? ამ რეიდმა დაგვარწმუნა, რომ სამწუხაროდ, ბევრს სიყვარულის, პატივისცემის ნასახიც არ გააჩნია დედა თბილისის მიმართ. კინოთეატრებს ეხა რომ ჰქონდეთ, თვითონ შემოგვჩივლებდნენ ამას. მათ კედლებსა და დარბაზებს ამჩნევია ბევრის „ბაბულიშვილობა“. ამ ამბებზე წერა, დაგვერწმუნეთ, გვიჭირს და გვეჩოთირება.

ვითომ ძალიან ვზრუნავთ იმისათვის, რომ მომსახურების მაღალი კულტურა გვქონდეს (ეს კინოფიკატორებს ეხებათ)?. სამწუხაროდ, ამას ბევრი ვერ დაიკვეხნის. როგორც იტყვიან, ერთი თხისკენ და ერთი მგლისკენო. დიდი მუშაობა გვმართებს, რომ იდეალურობამდე ავიყვანოთ კულტურული მომსახურების დონე. საბაბს რა გამოლევს? მთავარია არა ქვეხ გრძნობები, არამედ ნაღდი მოქალაქეობრივი გრძნობები დუღდეს გულსა და გონებაში, რადგან საქმე ეხება მშობლიური ქალაქის სახელსა და ღირსებას, რომლის დაჩრდილვას არავინ გვაპატიებს.

გაზეთ „კომუნისტის“ სარეიდო ბრიგადის მონაწილეები: ვ. ანკოსი — თბილისის სახალხო კონტროლის კომიტეტის შტატგარეშე ინსპექტორი; ბ. პაპაშვილი — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს უფროსი კონტროლიორ-რევიზორი, სახალხო რაზმელი; ზ. მგალობლიშვილი — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსი ინსპექტორი; ვ. მარდალეიშვილი — „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი.



„შერბურის ქოლგები“ ეკრანზე... და მაყურებელთა დარბაზში.

„უკვდავების მაძიებელნი“.

დარბაზი ბოლავს.

კინო-თეატრებს ენა რომ ჰქონდეთ!..

მხატვარი ბ. ლომვიძე.

საკადრისად დაესაჯათ თამბაქოს მწეველები, სამოდელო ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშა თ. მოსაშვილი და 63-ე პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე ი. თედეევი.

კინოთეატრი „ბათუმი“ (დირექტორი — ბ. კასარელი) საქარხნო რაიონშია. თქვენს მტერს, ის რომ დღეშია. მოძველებული რეკლამები, ჩამტვრეული მინები... ეს თურმე არაფერი. მაყურებელთა დარბაზი ცარიელია. დღეს, დილის სეანსზე იყო რამდენიმე კაცი, — გვეუბნება უფროსი კონტროლიორი დ. სურმანიძე, — შემდეგ სეანსი აღარ გვქონია, აქ შემოსვლაც არ უნდათ.

რატომ ხდება ასე? მაყურებელმა დარბაზი საწყობად არის გადაქცეული და იმიტომ. ცალკე შიფერი დაულაგებიათ, ცალკე — რკინის მილები, ავდარში წყალი ჩამოდის ჭერიდან, სკამები უვარგისია ან მთლიანად დაძტვრეული. თურმე სამი წელია აპირებენ რემონტის დაწყებას დაჯერაც არ დაუწყიათ. საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელობა, თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველო? რას ფიქრობენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელები. არა გგონია რესპუბლიკის რომელიმე სოფელში ისე ჩამკვდარი იყოს კულტურული დაწესებულების ბაჯისცემა, როგორც ეს დედაქალაქის ამოდენა საცხოვრებელი მასივის — ვარკეთილის ერთადერთ კინოთეატრშია. „ნატვრის ხის“ სანახავად სკოლებიდან ძალით მოვიყვანეთ ბავშვები, ბატონო. — გვეუბნება დ. სურმანიძე. პირდაპირ დაუჯერებელია! აქ არავის